



## ჩვენ ერთად, ჩვენ უაზრობა!

ტრენინგ კურსი დისკრიმინაციის და  
სიძულვილის ენის წინააღმდეგ  
მოქმედებისთვის

ტრენინგი ტარდება ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში.“ ტრენინგ კურსს ახორციელებს „ადამიანის უფლებათა ასოციაცია.“



მა ვირჩევ თანასწორობას



I CHOOSE EQUALITY

COUNCIL OF EUROPE



CONSEIL DE L'EUROPE

# ჩვენ ერთად, ჩვენ უაზრობა!

მონვევა ახალგაზრდებისთვის ტრენინგ-კურსში მონაწილეობის მისაღებად

## პროექტის შესახებ

ტრენინგი ტარდება „მე ვირჩევ თანასწორობას“ კამპანიის ფარგლებში, რომელიც მიმდინარეობს ევროპის საბჭოს პროექტის „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მხარდაჭერით. კამპანიის მიზანია ცნობიერების ამაღლება ისეთი საკითხების შესახებ, როგორცაა ადამიანის უფლებები, ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკა და მათი მნიშვნელობა ქართულ საზოგადოებაში დემოკრატიის, მშვიდობისა და კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

პროექტი „დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში“ მიზნად ისახავს გამოცდილების გაზიარებას, შესაძლებლობების განვითარებას, ადვოკატირებასა და ცნობადობის ამაღლებას პოლიტიკის შემქმნელებში, სამართალდამცვე ორგანიზაციებსა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს შორის, რათა მათ შეძლონ: დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის შესახებ ეროვნული კანონმდებლობისა და მონიტორინგის მექანიზმების შესაბამისობაში მოყვანა ევროპულ სტანდარტებთან (კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ ევროპული კომისიისა და ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ ევროპულ ჩარჩო კონვენციასთან); მათი ეფექტური განხორციელება; საზოგადოების თვითშეფასების გაზრდა იმ კანონების შესახებ, რომელთაც წვლილი შეაქვთ დემოკრატიის, ადამიანის უფლებების, მშვიდობისა და კეთილდღეობის განვითარებაში.

პროექტის ფარგლებში, ევროპის საბჭო და შერიგების და სამოქალაქო თანასწორობის საკითხთა სახელმწიფო სამინისტრო ახორციელებენ ცნობიერების ამაღლების პროექტს "ჩვენ ერთად, ჩვენ უაზრობა!", რომელიც მოიცავს ორ ეტაპს.

## პირველი ეტაპი

მონაწილეები ჩაერთვებიან ტრენინგ კურსში, რომელიც ევროპის საბჭოს საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად განხორციელდება ახალგაზრდული ორგანიზაციის „ადამიანის უფლებათა ასოციაცია“ მიერ.

## მეორე ეტაპი

მონაწილეები განახორციელებენ მცირე მასშტაბის პროექტებს მათ მუნიციპალტეტებში/ადგილობრივ თემში მრავალფეროვნების და თანასწორობის მხარდასაჭერად.

## ტრენინგის შესახებ

ტრენინგი მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს ახალგაზრდების ცოდნის და უნარების გაუმჯობესებას დისკრიმინაციის და სიძულვილის ენის წინააღმდეგ მოქმედებისთვის ონლაინ და მათ თემში.

ტრენინგი შესაძლებლობას მისცემს კონკურსის საფუძველზე შერჩეულ 30 ახალგაზრდას, რომლებიც წარმოადგენენ არასამთავრობო ორგანიზაციებს ან ახორციელებენ სათემო აქტივობებს:

- აიმაღლონ ცნობიერება ადამიანის უფლებების ძირითადი კონცეფციების, თანასწორობის, დისკრიმინაციის და სიძულვილის ენის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოების, მათ შორის „კომპასი“, „Bookmarks“ და „ჩვენ შეგვიძლია!“ გამოყენებით;
- გაანალიზონ დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის შესახებ ადგილობრივ რეალობაში არსებული გამოწვევები და მათი როლი გამოწვევების დაძლევის პროცესში;
- განივითარონ კომპეტენციები, რათა შეიმუშაონ და გაავრცელონ ალტერნატიული ნარატივები სიძულვილის ენის წინააღმდეგ, ადამიანის უფლებების და მრავალფეროვნების მხარდასაჭერად სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით.
- დაგეგმონ და განახორციელონ საინტერესო და შემოქმედებითი მცირე მასშტაბის პროექტები მათ მუნიციპალტეტებში/ადგილობრივ თემში მრავალფეროვნების და თანასწორობის მხარდასაჭერად.

ტრენინგი განხორციელდება არაფორმალური საგანმანათლებლო მეთოდოლოგიის გამოყენებით.

### ტრენინგის ძირითადი თემატიკა:

ტრენინგი საგანმანათლებლო ამოცანების მისაღწევად მოიცავს შემდეგ თემატიკას:

- ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდები და რესურსები;
- სიძულვილის ენა და მასთან დაკავშირებული გამოწვევები;
- სიძულვილის ენის საწინააღმდეგო და ალტერნატიული ნარატივების შექმნა;
- სიძულვილის ენის საწინააღმდეგო სათემო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება.

## სანბრძლივობა და სტრუქტურა

### ტრენინგ კურსის განხორციელების პერიოდი და ფორმატი:

ტრენინგის პირველი ნაწილი ჩატარდება ონლაინ ფორმატში ტრენინგის განხორციელების პერიოდში მონაწილეებს უნდა ჰქონდეთ წვდომა ინტერნეტთან. ტრენინგის მეორე ნაწილი ჩატარდება ოფლაინ (რეალურ ფიზიკურ სივრცეში), ორგანიზატორების მიერ წინასწარ შერჩეულ ადგილზე, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების დაცვით. ორგანიზატორები იტოვებენ უფლებას ტრენინგის ოფლაინ ნაწილი ჩატარდეს ონლაინ ფორმატში, რის შესახებაც წინასწარ ეცნობებათ აპლიკანტებს შერჩევის შემთხვევაში.

- ონლაინ ტრენინგის ჩატარების განრიგი
- 27 ივლისი - 16.00 - 19.00
  - 28 ივლისი - 16.00 - 19.00
  - 29 ივლისი - 16.00 - 19.00
  - 30 ივლისი - 16.00 - 19.00
  - 1 აგვისტო - 16.00 - 19.00
  - 2 აგვისტო - 16.00 - 19.00
  - 3 აგვისტო - 16.00 - 19.00
  - 4 აგვისტო - 16.00 - 19.00

ტრენინგის ოფლაინ ნაწილი ჩატარდება 6-7 აგვისტოს თბილისში. შერჩეული მონაწილეები მიიღებენ დეტალურ ინსტრუქციას ტრენინგის ტექნიკური საკითხების და პროგრამის შესახებ.

### მონაწილეთა პროფილი:

ტრენინგ კურსი განკუთვნილია ახალგაზრდებისთვის, რომლებიც სასურველია მუშაობდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებში ან ახორციელებდნენ სათემო ინიციატივებს და აქვთ სურვილი მოხალისეობრივად განახორციელონ სათემო აქტივობები.

საორგანიზაციო ჯგუფი მიესალმება აპლიკანტებს მათი გენდერული მიკუთვნებლობის, იდენტობის, შეზღუდული შესაძლებლობის, ეთნიკური წარმომავლობის, რასისა და სექსუალური ორიენტაციის მიუხედავად.

ტრენინგის მონაწილე უნდა:

- იყოს 18-30 წლის
- წარმოადგენდეს არასამთავრობო ორგანიზაციას ან ჰქონდეს სათემო ინიციატივების განხორციელების გამოცდილება (სასურველია);
- იყოს შემდეგი რეგიონებიდან: ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთი, აჭარა, პანკისი
- ჰქონდეს შესაძლებლობა სრულად ჩაერთოს სატრენინგო პროცესში
- ჰქონდეს სურვილი და შესაძლებლობა ტრენინგის დასრულების შემდეგ პრაქტიკაში გამოიყენოს მიღებული ცოდნა და ინფორმაცია და განახორციელოს მცირე მასშტაბის პროექტი.

### შერჩევის პროცესი და კრიტერიუმები:

მონაწილეები შეირჩევიან შევსებული სააპლიკაციო ფორმის შედეგად. აპლიკაციების გამოგზავნის ბოლო ვადაა 2020 წლის 21 ივლისი.

ტრენინგში მონაწილეობის მიღება უფასოა. ოფლაინ კომპონენტთან დაკავშირებულ ხარჯებს დაფარავს ევროპის საბჭო. ტრენინგი ჩატარდება უსაფრთხოების შესახებ რეკომენდაციების გათვალისწინებით. ტრენინგის სამუშაო ენაა ქართული.

სააპლიკაციო ფორმა: <https://bit.ly/wetogetherwecan>

შეკითხვებისთვის შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ორგანიზატორებს ელექტრონული ფოსტით - [hrage.info@gmail.com](mailto:hrage.info@gmail.com)

გისურვებთ წარმატებას!

